+

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2025 წლის _ _ აპრილი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს“ მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — ლევან ჩანქსელიანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“

წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25

14-21-2-202504111524

N 14/21

11.04.2025

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმუირაზ,

გიგზავნით ინფორმაციას, ა (ა) იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ,,კულტურის ცენტრის " მიერ, 2024 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ.

დანართი 4 ფურცელი.

პატივისცემით ,

რევაზ მესხი

მმართველი

ა(ა) იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ,,კულტურის ცენტრის“

2024 წლის ანგარიში

ა (ა) იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ,,კულტურის ცენტრმა“ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა მასზედ დაკისრებული მოვალეობების სრულყოფილად შესრულებისათვის - საკლუბო, საბილიოთეკო, სამუზეუმო და სახელოვნებო საქმიანობის მიმართულებით.

ა (ა) იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ,,კულტურის ცენტრი“ აერთიანებს: 2კულტურის სახლს, 10 სასოფლო კლუბს, 29 ბიბლიოთეკას, 3 მუზეუმს, სახალხო თეტრს, თოჯინების თეატრს, ფოლკლორულ ანსამბლ ,,ნადურს“ და ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,ივერიას“.

კულტურის ცენტრის დაფინანსების ძირითად წყაროს ადგილობრივი ბიუჯეტი წარმოადგენს. დამატებით ვიყენებთ საკონცერტო დარბაზის გაქირავებით, მუზეუმების ბილეთების ამონაგებით, ფასიანი წრეებითა და ბილეთების რეალიზაციით შემოსულ შემოსავალს.

ა (ა) იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ,, კულტურის ცენტრის“ ბიუჯეტის ხარჯები 2024 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 1426312 ლარის ოდენობით, ხარჯმა კი შეადგინა 1379231, არაფინანსური აქტივების გეგმა 1354200 ლარი, ხარჯი -1331636,3 ლარი.

2024 წლის იანვრის თვეში სასოფლო კლუბებში ჩატარდა საახალწლო ღონისძიებები, 10-15 იანვარს ბაკურიანში გამართულ, თოჯინების თეატრების ფესტივალში, მონაწილეობა მიიღო ,,კულტურის ცენტრის'' თოჯინების თეატრმა და დაჯილდოვდა ნომინაციაში: ,,საუკეთესო სცენოგრაფი“ და ,,საუკეთესო ეპიზოდური როლი“ .

16 იანვარს გეგუთის კ/სახლში გაიმართა თოჯინების სპექტაკლი ,,ჭაბუკა“, ამავე სპექტაკლით კულტურის ცენტრმა უმასპინძლა სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეებს.

7 თებერვალს - მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა წიგნის ხმამაღლა კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებული ღონისძიება.

8 თებერვალს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი გამოფენა.

29 თებერვალს - მე-2 უბნის, დერჩის, დღნორისის, ჭაშლეთის ბიბლიოთეკებში ჩატარდა მაყვალა მრევლიშვილის დაბადებიდან 115 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

კულტურის ცენტრში და გეგუთის კ/სახლში გაიმართა დედის დღისადმი და 8 მარტისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

17 მარტს - ს /დარბაზში ჩატარდა მოცეკვავისა და ქორეოგრაფის, ბესო შენგელიას ხსოვნის საღამო.

21 მარტს - საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება ,,მსოფლიო პოეზიის დღე".

8 აპრილს - მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა ციალა ღვინიანიძის წიგნების პრეზენტაცია.

9 აპრილს - მემორიალთან აღინიშნა ტრაგედიიდან 35 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ,,მადლობა თავისუფლებისთვის" .

12 აპრილს - მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა ჯორჯ ' ბალანჩინის დაბადებიდან 120 -ე წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა და სამეცნიერო კონფერენცია.

13 აპრილს - ს/დ ,,ივერიში'' გაიმართა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გასვლითი ეთნოგრაფიული ექსპონატების გამოფენა, ევროპის გოგონათა მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადის გახსნასთან დაკავშირებით.

9 მაისს - აღინიშნა ფაშიმზე გამარჯვების 79 -ე წლისთავი და ყვავილებით შევამკეთ გვიშტიბის ძმათა სასაფლაო.

17 მაისს - საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქორეოგაფიული ანსამბლ ,,ივერიისა" და ფოლკლორული ანსამბლ ,,ნადურის'' საანგარიშო კონცერტი.

14 მაისს - გეგუთის ციხე - სიმაგრეზე ჩატარდა სახალხო დღესასწაული ,,თამარობა''.

18 მაისს - აღინიშნა მუზეუმების საერთაშორისო დღე.

26 მაისს - ს/დ ,,ივერიში'' ჩატარდა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი.

22 მაისიდან - 2 ივნისის ჩათვლით ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ივერია", მიწვევით იმყოფებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში ლატვიაში და ლიეტუვაში, სადაც წარმატებით გამართა კონცერტები.

აპრილიდან - ივნისამდე მთავარ ბიბლიოთეკას და სასოფლო ბიბლიოთეკებში მიმდინარეობდა, ტრადიციულად, საბიბლიოთეკო კვირეული, რომელიც დაიხურა პოეტ ავთანდილ ყურაშვილთან შეხვედრით.

14 ივნისს ს/დ ,,ივერიში'', სახალხო თეატრმა წარმოადგინა პრემიერა სპექტაკლისა - დ. კლდიაშვილის ,,ბაკულას ღორები", რომელიც 16 ივნისს , წარდგენილი იქნა ქ. ქუთაისის მესხიშვილის თეტრში, ,,იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე''. სპექტაკლი დაჯილდოვდა ნომინაციაში - ,,საუკეთესო ქორეოგრაფია'' და ასევე მოიპოვა ,,სპეციალური პრიზი'' - მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის.

ივლისის თვეში - სასოფლო კლუბებში (ოფურჩხეთი; ოფშკვითი) გაიმართა თოჯინური სპექტაკლი.

2 აგვისტოს - მაღლაკის კულტურის სახლში აღინიშნა ელიაობის დღესასწაული, გაიმართა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მონაწილეობა მიიღო ,,კულტურის ცენტრის'' სახალხო თეატრმა სპექტაკლით - ,, ბაკულას ღორები''.

8 აგვისტოს - მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მომდებარე ტერიტორიაზე, მემორიალთან, ჩატარდა 2008 წლის ომში დაღუპულ გმირთა პანაშვიდი.

27 სექტემბერს - სოხუმის დაცემის დღეს, გავიხსენეთ და პატივი მივაგეთ აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირებს.

29 სექტემბერს - ა (ა) იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ,,კულტურის ცენტრმა'' აქტიური მონაწილეობა მიიღო ,,შემოდგომის წყალტუბოს'' დღესასწაულში. სახალხო თეატრმა ღია სივრცეში იმპროვიზირებულად უმასპინძლა ჩამოსულ სტუმრებს, საკონცერტო დარბაზში კი გამართა კონცერტი ,,ნადურისა'' და ქორეოგრაფიული ანსამბლ ,, ივერიის '' მონაწილეობით.

19 დეკემბრიდან - გაიმართა პოეტ ანა კალანდაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები: გვიშტიბის, გუბისწყლის, პირველი წყალტუბოს, მეორე უბნის, მაღლაკის, ფარცხანაყანევის, მუხიანის, ქვიტირის, გეგუთის, ოფშკვითის, რიონისა და ოფურჩხეთის ბიბლიოთეკებში.

20 დეკემბერს - ,,კულტურის ცენტრის'' თოჯინების თეატრმა წარმოადგინა ახალი, ქართული ხალხური ზღაპრის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი - ,,გვრიტი''.

26 დეკემბერს - ლია ხოტივარის სახელობის გეგუთის კულტურის სახლში გაიმართა საახალწლო ღონისძიება.

საანგარიშო პერიოდში კულტურის ცენტრმა, მის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებში, განახორციელა რიგი კაპიტალურ - შეკეთებითი სამუშაოები - კერძოდ:

საყულიაში გაკეთდა სველი წერტილი (1663 ლ.);

გეგუთის კულტურის სახლში შეკეთდა სახურავი და წყლის საწრეტები (559ლ.) ასევე, დამონტაჟდა მეტალო - პლასტმასის ორი ფანჯარა (570 ლ.);

ნიკო ლიორთქიფანიძის სახლ - მუზეუმის ადმინისტრაციულ შენობაში ჩაისვა 3 ცალი კარები (1305 ლ.), დამონტაჟდა წყლის სისტემა ახლად აშენებულ სველ წერტილებში (559ლ.);

საკონცერტო დარბაზისთვის შევიძინეთ 2 ცალი დინამიკი (9000ლ.), 10ცალი ცეცხლმაქრი დაწესებულებისთვის (600 ლ.), შეძენილი იქნა 2 ცალიპორტატული კონდიციონერი და კომპიუტერები (9379 ლ.);

მოწესრიგდა რამდენიმე სასოფლო დაწესებულების ელექტრო გაყვანილობა და სხვა.

ბიბლიოთეკებისთვის გამოწერილი იქნა 803 ლარის ჟურნალ- გაზეთები.

ა(ა) იპ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი'' მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს დაკისრებული მოვალეობის განხორციელებას წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად.

ა(ა) იპ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

კულტურის ცენტრის'' მმართველი



რევაზ მესხი